



აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

საინფორმაციო ბიულეტენი N16 ნოემბერი, 2021

სოფლის განაცხადები

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის ძირითადი მისია თანამედროვე, ევროპული სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების კომუნალური ინფრასტრუქტურის შექმნაა.

მოსახლეობის საჭიროებების გაზრდის, შეფასების და არსებული მდგომარეობის შესასწავლად, მრავალმხრივი შეხვედრები გაიმართა მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან და სოფლის მოსახლეობასთან.

შეხვედრებზე ყურადღება გამახვილდა პროგრამაში საზოგადოების აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობაზე, სისტემების პროექტირების, რეაბილიტაციის და რაც ყველაზე მთავარია, ახალი სისტემების მოვლა-პატრონობის დროს.

პასუხისმგებლობების ადეკვატურად გადანაწილების მიზნით, სოფლების წარმომადგენლებმა სოფელში არსებული წყალმომარაგების და წყალარინების ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაცია შეაგროვეს და მოსახლეობის ხელმოწერით დაადასტურეს პროგრამაში ჩართვის სურვილი - „ჩვენი სურვილია გავუმჯობესოთ და მდგრადი გავხადოთ წყალმომარაგება. ჩვენ ასევე გვსურს ნარჩენი წყლების შეგროვების და განმუხტვის გაუმჯობესება“.

თავდაპირველად, სოფლის განაცხადების მეშვეობით პროგრამაში ჩართვის სურვილი 184 სოფელში გამოხატეს, რაც აჭარის სოფლების 60%-ს შეადგენს. მიმდინარე პროგრამის ფაზაში, პრიორიტეტი მიენიჭა 39 სოფელს არასათანადო წყალმომარაგების და არარსებული წყალარინების სისტემების საკითხების გამო.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ფაზა 2021 წლის გაზაფხულზე დასრულდა, „აჭარის წყლის ალიანსს“ დამატებით 20-ზე მეტმა სოფელმა მიმართა, რათა კიდევ ერთხელ დაედასტურებინათ მზაობა პროგრამაში მონაწილეობის საჭიროების და სურვილის შესახებ. „აჭარის წყლის ალიანსისთვის“ ნათელია, რომ აღნიშნული სოფლების დახმარება სამომავლოდ გასათვალისწინებელია.



ინფორმაცია პროგრამის შესახებ

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა თანადაფინანსებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, KfW ბანკის მეშვეობით და ევროკავშირის მიერ.

პროგრამა მიზნად ისახავს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნას თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამას სს „აჭარის წყლის ალიანსი“ ახორციელებს. პროგრამა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის, ზოგადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში. პროგრამა უზრუნველყოფს გარემოს დაცვას ჩამდინარე წყლებით დაბინძურების თავიდან არიდების გზით. ასევე, თავიდან იქნება არიდებული ნიადაგისა და წყლის რესურსების დაბინძურება გაუნმენდავი ჩამდინარე წყლების ჩამგებით.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.



AJARA RURAL WATER AND WASTEWATER TREATMENT PROGRAMME

NEWSLETTER N16

November, 2021

Village Applications

The main mission of the Ajara Rural Water Supply and Wastewater Treatment Program is to create a modern water supply and wastewater communal infrastructure that meets European standards.

Multilateral meetings were held with representatives of municipalities and the population of rural villages in order to understand and assess the needs of the population and study the current situation.

All the meetings focused on the importance of active community participation in the program - during the processes of design, construction and most importantly during the operation and maintenance of the created systems.

In order to adequately share responsibilities, the village representatives collected information about the existing water supply and sanitation infrastructures in the rural village and confirmed their readiness to participate in the program with their signature: "Our desire is to improve water supply and make it stable. We also want to improve the collection and treatment of wastewater".

Initially, 184 villages – which is 60% of all rural villages in Ajara - expressed their desire to participate in the program through village applications. During the current program phase 39 villages were prioritized based on critical conditions of unreliable water supply and issues with non-existent wastewater system.

However, since the survey phase was finalized in spring 2021, additionally over 20 villages approached the AWA to reconfirm and underline their need and desire to participate in the program. It is well understood by the AWA that assistance to those villages has to be considered in the future.



GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

"Rural Water Supply and Wastewater Treatment Programme-Ajara" is co-financed by the German Federal Republic Government through the KfW Development Bank and by the European Union.

The Programme aims to create modern standard water supply and wastewater treatment systems in all municipalities of Ajara. "Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme-Ajara" is being implemented by the JSC "Ajara Water Alliance".

The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent.

The content of the Programme "Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme-Ajara" is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.